საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის
სახელობის ქართული უნივერსიტეტი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№ 01-00/01 08.06.2010

2010 წლის შემოდგომის სემესტრის დაგეგმვის შესახებ

1. საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში 2010 წლის შემოდგომის სემესტრი განისაზღვროს 20 კვირით;
2. ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაციის პერიოდი განისაზღვროს 1-დან 13 სექტემბრამდე;
3. 2010 წლის გაზაფხულის სემესტრის დამატებითი გამოცდები ჩატარდეს 6 - 12 სექტემბერს;
4. სააუდიტორიო მეცადინეობები დაიწყოს 13 სექტემბრიდან და გაგრძელდეს 26 დეკემბრამდე;
5. შუალედური გამოცდებისათვის დადგინდეს შემდეგი ვადები:
   ა/ პირველი შუალედური გამოცდა ჩატარდეს სემესტრის მე-6 კვირაში (18 – 24 ოქტომბერი);
   საჭიროების შემთხვევაში განმეორებითი გამოცდა დაიგეგმოს მომდევნო, მე-9 კვირაში (25 – 31 ოქტომბერი));
   ბ/ მეორე შუალედური გამოცდა ჩატარდეს სემესტრის მე-12 კვირაში (29 ნოემბერი – 5 დეკემბერი);
   საჭიროების შემთხვევაში განმეორებითი გამოცდა – მომდევნო, მე-13 კვირაში (6 – 12 დეკემბერი);
   გ/ უცხოურ ენებში ჩატარდეს ერთი შუალედური გამოცდა სემესტრის მე-8 კვირაში (1 – 7 ნოემბერი);
   საჭიროების შემთხვევაში განმეორებითი გამოცდა დაიგეგმოს მომდევნო, მე-9 კვირაში (8 – 14 ნოემბერი);
6. საშობაო და საახალწლო არდადეგები – 27 დეკემბრიდან 2011 წლის 17 იანვრამდე;

7. დასკვნითი საგამოცდო სესია ჩატარდეს მე-16 - 19 კვირებში (2011 წლის 17 იანვარი – 13 თებერვალი);
8. 2010 წლის შემოდგომის სემესტრის დამატებითი გამოცდები ჩატარდეს მე-20 კვირაში (21 - 27 თებერვალი);
9. გაფორმებული საგამოცდო უწყისები ყოველი გამოცდის დასრულებისთანავე ჩაბარდეს ადმინისტრაციას;
10. ბრძანების შესრულებაზე თვალყურის დევნება დაევალოს უნივერსიტეტის მონიტორინგის სამსახურს (ს. ფაღავა);
11. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საფუძველი: უნივერსიტეტის საბჭოს გადაწყვეტილება.

რექტორი
პროფესორი პ. მარგველაშვილი